LCC
Law Firm

საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2023 წლის ოქტომბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2023 წლის ოქტომბრის თვეში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №16

2023 წლის 5 ოქტომბერს დამტკიცდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში სტაჟირების გავლის თანდართული წესი.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 010100000.78.091.016017

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №77

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2023 წლის 6 ოქტომბერს დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტში ვიდეომონიტორინგის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესი თანდართული რედაქციით.

ზემოაღნიშნული წესის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 140130000.22.034.017405

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2023 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №368 ბრძანებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და დანართი №II-01[2], დანართი №II-01[3]; მუხლი 68 (უცხოეთის დიპლომატიური პირებისათვის განკუთვნილი საქონლის/მომსახურების დღგ-ისგან გათავისუფლება) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017740

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

ამავე ბრანებაში 2023 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა და მინისტრის №379 ინსტრუქციაში შევიდა ცვლილება და მუხლი 61 (ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებული შვიდნიშნა კოდების აღრიცხვიანობა); მუხლი 61[1] (ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებული შვიდნიშნა კოდების მინიჭების წესი); მუხლი 61[2] ((ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებული შვიდნიშნა კოდების სააღრიცხვო მონაცემების ცვლილება და გაუქმება).

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017744

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა და მინისტრის №378 ინსტრუქციაში შევიდა ცვლილება და მე-14 მუხლი (საჯარო შეტყობინება) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017743

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 30 ოქტომბერს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და 112-ე მუხლის 56-ე პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 56^1-56^2 პუნქტები:

„56^1. იმ შემთხვევაში, თუ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 10 000 02 კოდში მითითებულ საქონელთან მიმართებაში შემოსავლების სამსახურის მიერ ვერ იქნა მოძიებული 2023 წლის 6 მაისიდან 18 მაისამდე პერიოდში სავაჭრო ქსელში არსებული ფასები, ამ მუხლის 56-ე პუნქტის მიზნებისათვის, გამოიყენება მხოლოდ მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ ამ მუხლის 55-ე პუნქტის შესაბამისად საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 10 000 02 კოდში მითითებული საქონლის სარეკომენდაციო საცალო სარეალიზაციო ფასი.

56^2. ამ მუხლის 56^1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 10 000 02 კოდში მითითებული საქონლის სავაჭრო ქსელში საცალო რეალიზაციის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვის განმავლობაში საგადასახადო ორგანო ვალდებულია დამოუკიდებლად, შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის საფუძველზე, განსაზღვროს საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი და, თუ ამ საქონელზე დადგენილ საცალო სარეალიზაციო ფასსა და მის მიერ განსაზღვრულ ფასს შორის სხვაობა 6%-ზე მეტია, წარუდგინოს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრს, აღნიშნულ საქონელზე ახალი საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის მიზნით.“.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017748

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდა 2023 წლის 21 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2023 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №257 ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და „საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №20) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017745

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №112/04

2023 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №279/04 ბრძანებით „საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის – სებსტატის გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 26 ნოემბრის №112/04 ბრძანებაში (შეტანილ იქნა ცვლილება და ამ ბრძანების:

1. პირველი მუხლის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) „სებსტატი: გზამკვლევი კომერციული ბანკებისათვის და მიკრობანკებისათვის“ (დანართი №2).“;

ბ) „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნა

2. მე-2 და მე-3 მუხლები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

კომერციულ ბანკებს და მიკრობანკებს დაევალოთ „სებსტატი: საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური და სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების სისტემის სახელმძღვანელოს“ მოთხოვნების დაცვა და მისი საანგარიშგებო პრაქტიკაში გამოყენება.

მუხლი 3

კომერციულმა ბანკებმა და მიკრობანკებმა საქართველოს ეროვნულ ბანკში ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგებების წარდგენა განახორციელონ სებსტატის მოთხოვნების და მოცულობის შესაბამისად, სახელმძღვანელოთი და გზამკვლევით დადგენილი წესებისა და პროცედურების დაცვით, სებსტატის ვებგვერდის (https://sebstat.nbg.gov.ge/) მეშვეობით.“

3. პირველი მუხლის „ა“- „გ“ ქვეპუნქტებით დამტკიცებული დანართი №1, დანართი №2 და დანართი №3 ჩამოყალიბდა თანდართული დანართი №1-ის, დანართი №2-ის და დანართი №3-ის შესაბამისად.

4. პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საკასო სტატისტიკა“ დანართი №4 ამოღებულ იქნა.

5. პირველი მუხლის „ე“და „ვ“ ქვეპუნქტებით დამტკიცებული დანართი №5 და დანართი №6 ჩამოყალიბდეს თანდართული დანართი №5-ის და დანართი №6-ის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220020000.18.011.016773

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №71

2023 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრის №938 ბრძანებით „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. 28-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. თუ გარიგება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება და მისი მხარე წარმოდგენილია უცხო ქვეყანაში გაცემული მინდობილობით, გარიგება უნდა დამოწმდეს ნოტარიუსის მიერ, საჯარო აქტის ფორმით.“.

2. 66-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი:

„11. თუ გარიგება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება და მისი მხარე არის ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა), გარიგება უნდა დამოწმდეს ნოტარიუსის მიერ, საჯარო აქტის ფორმით.“.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 170040000.22.027.017426

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №4

2023 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინიტრის №1-1/409 ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2002 წლის 18 იანვრის №4 ბრძანება.

ზემოაღნიშნული ბრძანების ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 330130000.22.024.016827

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №35

2023 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრის №941 ბრძანებით „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №1 დანართით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. მე-15 მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელებისას ინფორმაციის ჩაწერა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში, რა დროსაც ჩამწერი მოწყობილობის მეხსიერების შევსებისას ხორციელდება ახალი ინფორმაციის ჩაწერა ამავე მოწყობილობის მეხსიერებაზე არსებული ინფორმაციის განადგურების შედეგად.

2. გადაღებული მასალა ინახება არანაკლებ 10 დღისა.“;

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„8. დაარქივებული მასალა ინახება იმ საქმის სამართალწარმოების ფარგლებში შესაბამისი სუბიექტისთვის გადაცემიდან არაუმეტეს 10 დღის ვადით, რომლის გამოც განხორციელდა მასალის დაარქივება, ხოლო დისციპლინური სამართალწარმოების, ასევე, დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში – დისციპლინური სამართალწარმოების დასრულებიდან/სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს 1 თვის ვადით.“.

2. მე-16 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. შესაბამის ბაზაში შენახული დაარქივებული მასალა ნადგურდება სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით საამისოდ შექმნილი

კომისიის მიერ, ამ წესის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.“.

ზემოაღნიშნული წესის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 100110000.22.027.017429

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №487

2023 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №939 ბრძანებით „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №487 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 56-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 56. ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებას დაქვემდებარებული გარიგებები

ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებას ექვემდებარება ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებული წერილობითი ფორმის როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი და მრავალმხრივი კერძოსამართლებრივი გარიგებები, გარდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეობით დადებული გარიგების, მინდობილობის, უცხო ქვეყანაში გაცემული მინდობილობის საფუძველზე დადებული გარიგების, ანდერძის, სამისდღეშიო რჩენისა და საქორწინო ხელშეკრულების, აგრეთვე, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარიგებებისა, რომლებზეც მხარეთა ხელმოწერები უნდა დამოწმდეს/დადასტურდეს მხოლოდ სანოტარო წესით.“.

მუხლი 2

ამ ბრძანებით დადგენილი წესი ვრცელდება აგრეთვე ამ ბრძანების ამოქმედებამდე წარდგენილი სარეგისტრაციო განცხადებების საფუძველზე მიმდინარე სარეგისტრაციო წარმოებებზე.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040150000.22.027.017427

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №999

2023 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №403 ბრძანებით „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში (სსმ, №172, 31.12.2010, 200230040.22.033.016103) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1):

1. მე-5 მუხლის „მაგალითი 1“ ამოღებულ იქნა.

2. მე-14 მუხლის:

ა) 11 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„11. ფიზიკური პირისთვის საანგარიშო წლის განმავლობაში მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, იგი არასრულ საგადასახადო პერიოდში (შესაბამისი წლის დასაწყისიდან სტატუსის მინიჭების თვემდე) მიღებულ შემოსავლებზე საგადასახადო დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირს, აღნიშნული დეკლარაციის მიხედვით, მიმდინარე გადასახდელები არ დაერიცხება.“;

ბ) 11 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 12 პუნქტი:

„12. ფიზიკური პირის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში, სტატუსის გაუქმების წელს, პირს მიმდინარე გადასახდელები არ დაერიცხება.“.

3. მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს.“.

4. მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. თუ დაფიქსირდა პირის მიერ მცირე ბიზნესისათვის აკრძალული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, იგი რეჟიმიდან გამოსულად ჩაითვლება ამ წლის დასაწყისიდან.“.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200230040.22.033.017749

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №398

2023 წლის 10 ოქტომბერს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-10 პუნქტისა და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2023 წლის 3 ივლისის №3450-XIIრს-Xმპ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, დამტკიცდა თანდართული „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების დამამზადებლებისა და იმპორტიორებისგან, აგრეთვე შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისგან მოპოვებული ინფორმაციის შენახვისა და დამუშავების წესი“ და განისაზღვროს შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაციები და დაწესებულებები, დანართ №1-ის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული დანართის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 050000000.10.003.024231

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №520

2023 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის №395 დადგენილებით ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014

წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მუხლი მე4 (ზოგადი მოთხოვნები წარსადგენი დოკუმენტების მიმართ); მუხლი მე-5 (შრომითი ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად წარსადგენი დოკუმენტები); მუხლი 12[1] (დროებითი ბინადრობის ნებართვა) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010120000.10.003.024228

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №261

2023 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის №403 დადგენილებით ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ მე-2 მუხლი (ტერმინთა განმარტება); მე-5 მუხლი (ზოგადი მოთხოვნები სამშენებლო ტერიტორიის განაშენიანების მიმართ) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დებულების ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 330090000.10.003.024236

დადგენილება, გარდა პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან.

LCC
Law Firm

საქართველოს მთავრობის დადგენილება №136

2023 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის №414 დადგენილებით ნორმატიული აქტების შესახებ“ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-3 მუხლი (ლიცენზიის გაცემის წესი); 3^1 მუხლი (სასარგებლო წიაღისეული მოპოვების ლიცენზიის გაცემის პირდაპირი წესი) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 380050000.10.003.024247

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge